MES 1 22 0000156046

16/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.02.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:38 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

6. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	სოფიკო ქურასბედიანი	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	კორტ ანდერსონი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	მარინე მურცხვალაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოც. პროფესორი, აკადემიური პერსონალი	I
4	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
6	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	II, III
7	რუსუდან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	II
8	ნინო ჩიკვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
9	რატი ბურდიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	გიორგი ცაავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II

11	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II
12	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III
13	მაია მშვილდაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III
14	მამუკა მაისურაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
15	ზურაბ საბაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	III
16	მალხაზ ხუციშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მასალათმცოდნეობის“ სამაგისრტო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
18	ლალი ხარბედია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმზღვანელი	IV
19	მანანა ფხაკაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
20	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	V, IX
21	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, IX
22	ლევან მაკარაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	V, IX
23	რევაზ ჭიღლაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	"ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	V, IX
24	ლერი ნოზაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო	"ბიზნეს-ინფორმატიკის" სამაგისტრო	V, IX

		უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	
25	ცისკარა ზარანდია	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V, IX
26	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	VI
27	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
28	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
29	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
30	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	VII
31	ეთერი ჯაყელი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
32	სოფიო ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
33	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო, სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში	VIII
34	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
35	კონსტანტინე კულიჯანოვი	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი	VIII
36	ნინა კარბელაშვილი	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VIII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი

1	ნათია ღაჭავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაგდა ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ვასულ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV
7	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
12	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
13	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი გენეტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 21 თებერვლის №33 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი გენეტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით გენეტიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ელენე ჟურავლოვამ, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ, მადლობა გადახადა დაწესებულების წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის, რომელმაც მისცა შესაძლებლობა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაეწერათ დასკვნა, მან განაცხადა, რომ გაცემულია მხოლოდ ორი რეკომენდაცია პირველ სტანდარტთან მიმართებით. რჩევები კი გაცემულია მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.2:
1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის აგება - დაინახეს კავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, უბრალოდ თუ რუკა ეხება პროგრამას ეს კავშირი უფრო მკაფიო იქნება და კარგად დაანახებს მიზნების შესაბამისობას შედეგებთან;
2. რეკომენდეულია პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამის საფუძველზე გადამოწმდეს კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა - ექპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვა ვიზიტის განმავლობაში აღნიშნულ საკთხთან დაკავშირებით, თუმცა მაინც დატოვეს რეკომენდაციად, რადგან კურიკულუმში ფიქსირდებოდა და დაწესებულება გაასწორებს, შესაბამისად ხარვეზის გარეშე იქნება კურიკულუმში ასახული, რაც შემდგომში მოითხოვს ყველა იმ დოკუმენტის გადახედვას, სადაც ხარვეზის სახით დაფიქსირდა აღნიშნული შედეგი.
ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეს არის რეკომენდაციები/რჩევები, რომლებიც პროგრამის შეფასებისას აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პროგრამას შედეგზე გასვლის პრობლემა არ აქვს, გადის სწავლის შედეგზე და გარდა იმისა, რომ ამის შესაძლებლობას პროგრამას აძლევს მასალა, რომელიც მიაწოდეს, ის მატერიალურ-ტექნიკური რესურსიც და აკადემიური პერსონალიც პროგრამას ახორციელებს, პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა ხარვეზები დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და მიაწოდეს გასწორებული, თუმცა მათთვის ცნობილია, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებენ, ამიტომ ხარვეზები იყო დოკუმენტებში.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად სხდომის ჩატარების თარიღის მითითების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომებით ინტერესდება ხოლმე, თუმცა ამ შემთხვევაში ნაშრომების ავტორები საუკეთესო მეცნიერებადაც კი არიან მიჩნეულები, ამიტომ ეს კითხვაც არ აქვს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:14
დასრულების დრო: 14:24

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

-
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის 7 წლის ვადით მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა ჯგუფის მეირ საგანმანათლებლო პროგრამის შესახება, კერძოდ აკრედიტაციის სტანდარტის 2,6 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნილმა ცვლილებამ არ გაოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული
რეკონედაციები და რჩევები. საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი

-
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის შედეგების ფორმულირება გაზომვადობის უზრუნველსაყოფად და მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის აგება.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების რუბრიკები თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამის საფუძველზე გადამოწმდეს კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა;

2. სასურველია ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით.
3. სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტი გაცვლითი პროგრამის ორგანიზება.
4. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი ღვაწლმოსილი პროფესორების მიერ ახალგაზრდა სამეცნირო-პედაგოგიური კადრების ასისტენტობის შესაძლებლობების ინტენსიურად გამოყენება ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სრულყოფის მიზნით;
5. სასურველია სახელმძღვანელოები, რომლებიც ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ბეჭდვითი ვერსიის სახით, ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმითაც;
6. სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.
7. სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;
8. სასურველია პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის მიხედვით დიფერენცირება. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება, არამედ შეფასების კონკრეტული მეთოდით განსაზღვრულ აქტივობაში მიღებული შეფასება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გენეტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ დააკლმაყოფილა საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნა და აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შეიყვანა 2022 წლის 15 თებერვალს.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო პროცესების მართვა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება №402822
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში (0204)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქ. №77, სასწავლო კორპუსი №6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 22 მაისის გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, თუმცა წელიწადსა და ექვს თვეში ანგარიშითა და მონიტორინგით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგი განახორციელა აღნიშნულ პროგრამაზე, დადგინდა, რომ ძალიან ბევრი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის განვითარების თვალსაზრისით, რაც აღნიშნულია დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ ეტაპზე შეიმუშავა რამდენიმე დასკვნა, რაც გამომდინარეობდა ფაქტობრივი გარემოებებიდან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმის რუკის კორექტირება, რადგანაც წარმოდგენილი რუკის მიხედვით ბუნდოვანია სად ხდება პროგრამის 1, 9 და 10 შედეგების გაცნობა და პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში როგორ იღებს მონაწილეობას პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები;
2. ვინაიდან პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“, რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი, ერთი საკითხის დონეზე ჩაშლილი მარკეტინგი კვალიფიკაციისთვის „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“ ცოტაა, ამიტომ განსაზღვრეს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დამატებოდა სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი.
დანარჩენი რეკომენდაციები მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მეტად ტექნიკურ ხასიათს ატარებს.
3. რეკომენდებულია შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებული პროგრამის სტრუქტურული ნაწილების მოცულობა პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ მოცულობებთან, კერძოდ პროგრამის აღწერილობითი ნაწილში მითითებულია, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტი არის 90 კრედიტი, რომელშიც შედის: 5 კრედიტი პრაქტიკა და 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები ე.ი. გამოდის რომ ამ მოცემულობით სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა არის 70 კრედიტი, თუმცა სასწავლო გეგმის მიხედვით აღნიშნული ნაწილი მოიცავს 75 კრედიტს;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა“ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მორგება კურსის მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან - თუმცა დაწესებულებამ განმარტა, რომ დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა დანართების სახით არ გადაუგზავნიათ და შესაბამისად რეკომენდაცია ძალაში დარჩა;
5. რეკომენდებულია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს „პროფესიული პრაქტიკის“ და „საწარმოო პრაქტიკის“ კურსების ინტეგრირება ერთ კურსად და მისი მორგება პროგრამის მიზნებზე - მან იხილა დაწესებულების პოზიცია, სადაც წერს, რომ აღნიშნული წინა რეკომენდაციების დროს იქნა წარმოგდენილი და სტუდენტს აძლევს არჩევითობის საშუალებას, თუმცა ერთიდაიგივე შინაარსის სასწავლო კურსით შეუძლებელია აირჩიოს სტუდენტმა, შესაძლებელია არჩევითი იყოს ვინც მუშაობს იმან არ გაიაროს ან რაიმე სხვა მეთოდით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წინა დასკვნაც დაწვრილებით წაიკითხა და აღნიშნულ რეკომენდაციაზე მსგავსი ჩანაწერი ვერ აღმოაჩინა.
ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რეკომენდაციების ნაწილი გაუქმდა, ნაწილი გადავიდა რჩევაში, პროგრამას ძალიან ბევრი აქვა ნამუშევარი, თუმცა აღნიშნული დეტალების გათვალისწინება ცალსახად კარგი იქნებოდა პროგრამისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, პირველი რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმის რუკის კორექტირება, რადგანაც წარმოდგენილი რუკის მიხედვით ბუნდოვანია სად ხდება პროგრამის 1, 9 და 10 შედეგების გაცნობა და პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში როგორ იღებს მონაწილეობას პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები) შესახებ განაცხადა, რომ ვინაიდან მაგისტრატურის პროგრამაზე აქვთ საუბარი, ამ შემთხვევაში გაცნობის დონეზე სასწავლო კურსის წარმოდგენის პირობა-აუცილებლობა არ არის, შესაბამისად ზოგიერთ სასწავლო კურსი სწავლის შედეგთან მიმართებაში გაღრმავების დონეზე ზემოქმედებს, ყველა სწავლის შედეგი განმტკიცებულია სასწავლო კურსებით, სწავლის შედეგის ფორმულირება დაახლოებით, სისხლის სამართალში რომ გადაიტანონ შთანთქავს გაღრმავება გაცნობის ნაწილს, დაახლოებით ისე, როგორც ძარცვას შთანთქავს ყაჩაღობა, ამიტომ ამ ნაწილში პრობლემას ვერ ხედავენ, თუმცა დაწესებულება გააგრძელებს მსჯელობას ამ მიმართულებით, ეს პრაქტიკა გამოყენებული აქვთ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ამიტომ ამ ნაწილში პრობლემას ვერ ხედავენ, ისევე, როგორც ამ რეკომენდაციების მეორე ნაწილში, როდესაც არჩევითი სასწავლო კურსი სწავლის შედეგზე ზემოქმედებს გარკვეული მოცულობით, იმ შინაარსით, რაც გათვალისწინებულია კურსში, რა თქმა უნდა სავალდებულო სასწავლო კურსები გარანტირებულად უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევასა და ფორმირებას, თუმცა არჩევითი სასწავლო კურსებიც აუცილებლად უზრუნველყოფენ, თუ სწავლის შედეგებთან მიმართებაში ზემოქმედება არ აქვს არჩევით სასწავლო კურსებს პროგრამაში ადგილი არ აქვს, რადგან გარანტირებულად რაღაცის სწავლა ასახვას პოვებს სწავლის შედეგზე, ამიტომ დაწესებულება არ იყო ვალდებული, რომ არჩევით სასწავლო კურსები წარმოედგინათ შედეგების რუკაში, თუმცა ამის ასახვა არ არის ხარვეზი და დაწესებულების წარმომადგენლებს ამ კუთხით აქვთ სწავლის შედეგების რუკა კურიკულუმის დანართად ჩამოყალიბებული. მეორე რეკომენდაციის (ვინაიდან პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“, რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატოს სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი, ერთი საკითხის დონეზე ჩაშლილი მარკეტინგი კვალიფიკაციისთვის „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“ ცოტაა, ამიტომ განსაზღვრეს, რომ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დამატებოდა სტრატეგიული მარკეტინგის სასწავლო კურსი) შესახებ, მან განაცხადა, რომ შინაარსში მიყვებიან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და გააზრებული აქვთ, თუმცა აქ შესაძლებელია ფორმალურად მოეჩვენოთ მისი პასუხი, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლები მაქსიმალურად ეცადნენ, რომ მხოლო და მხოლოდ წინა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე გაეკეთებინათ აქცენტი და მონიტორინგის ფარგლებში მათ იმ მონიტორინგის შესრულება დაედასტურებინათ. წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში ასეთი მოცემულობა არ იყო მათი მითითება, შინაარსში მიყვებიან და არათუ წინააღმდეგობის განცდა, არამედ მადლობას უხდიან აღნიშნული მითითებისთვის, უბრალოდ მონიტორინგის ფარგლებში აღნიშნული ვალდებულება დაწესებულებას არ ჰქონია, მაგრამ დაწესებულებას გამოადგება. სხვა რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც დამატებით იქნა გაცემული, აქცენტი გააკეთა სამართლებრივ ნიუანსზე, რომ პრაქტიკულად მონიტორინგის ფარგლებში მოწმდება რეკომენდაციების შესრულების ნაწილი, თუმცა დაწესებულება ასე არ უდგება საკითხს და ის ტექნიკური მითითებაც, რომელიც პირველ რეკომენდაციაშია გაცემული და დანარჩენი ორი რეკომენდაცია, პრაქტიკულად ეს დაექვემდებარა განხილვას და შინაარსობრივად არანაირი წინააღმდეგობის განცდა არ ჰქონდათ, მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს და განმარტეს, რომ აღნიშნული მოხდებოდა მონიტორინგი პროცესს გარეთ და საბოლოო გადაწყვეტილება აკადემიური საბჭოს მიერ დარეგისტრირდება პროგრამაში ცვლილებების შეტანის სახით, რასაც დაწესებულება გაითვალისწინებს, შეხედულებების

სხვადასხვაობა არის მხოლოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დანარჩენი რეკომენდაციები სრულად გასაგებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, ხედვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არავის აუკრძალავს მაგისტრატურაში კურსის შემოტანა, რომელიც იქნება გაცნობის დონეზე, მაგრამ ასეთი აკრძალვა არ არსებობს, სასწავლო კურსიდან გამომდინარე შესაძლებელია იყოს გაცნობით დონეზე, რადგან ხდება ხოლმე, ამიტომ აქ წინააღმდეგობა არ არის, მეორე საკითხია თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთი სასწავლო კურსის არსებობა. „სტრატეგიული მარკეტინგის“ შესახებ მან განაცხადა, რომ თუ ანიჭებენ „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“ და არა „ფინანსებში მაგისტრს“, რადგან ყველას გონია, რომ რასაც უნდა იმას დაარქმევენ, თუმცა ასე არ არის, ყოფილა ასეთი შემთხვევა, როდესაც არის „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“, რაც არის ჩამონათვალი მენეჯმენტიდან, მარკეტინგიდან, ბუღალტერიიდან უნდა შესრულდეს სტანდარტული პროცედურა. მისი მოსაზრებით მექნიკური ხარვეზები გასწორდება, მაგრამ ბოლო რეკომენდაცია, სადაც წარმოდგენილია ორი სასწავლო კურსი „პროფესიული პრაქტიკა“ და „საწარმოო პრაქტიკა“, ძნელი გასაგებია ლოგიკა, თუ რატომ არის ორი, ან ერთი უნდა იყოს, ან რაღაც პრინციპით უნდა გაყონ, ვინც მუშაობს იმათ კიდე მოთხოვონ პრაქტიკა უცნაურია, რადგან როგორც ცნობილია მაგისტრების აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს, ამიტომ ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაცია გასათვალისწინებელია, არჩევით კურსებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მსჯელობა იქნებოდა ლოგიკური, თუ აქვთ ე.წ. სავალდებულო არჩევითი, სადაც ერთი ტიპის საგნებია თავმოყრილი, ანუ თუ სურთ მაგისტრს ასწავლონ რაღაც დამატებითი მარკეტინგზე და სამი საგანი შესთავაზეს, სამივე არის მარკეტინგის ველიდან და სამივე აუცილებლად რაღაც შედეგზე გავა, მაგრამ თუ სთავაზობენ 2-3 საგანს, ერთს მარკეტინგიდან, ერთს ბუღალტერიიდან და ერთს ფინანსებიდან, საინტერესოა თუ რომელ სწავლის შედეგზე გავა, მისი მოსაზრებით ეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია და ექსპერტთა ჯგუფმა სწორად დასვა აღნიშნული ფაქტორი, შესაბამისად თუ დაწესებულება ამას გაასწორებს, არანაირი პრობლემა არ იქნება, სტრუქტურა არ ირღვევა და წინააღმდეგობაში პროგრამა არ მოდის, ამდენად შესაძლებელია რეკომენდაციების მიღება და მოკლე ვადაში გასწორება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, გაიზიარა საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის პოზიცია.
„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რატი ბურდიაშვილმა, ბოლო რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს „პროფესიული პრაქტიკისა“ და „საწარმოო პრაქტიკის“ კურსების ინტეგრირება ერთ კურსად და მისი მორგება პროგრამის მიზნებზე - მან იხილა დაწესებულების პოზიცია, სადაც წერს, რომ აღნიშნული წინა რეკომენდაციების დროს იქნა წარმოდგენილი და სტუდენტს აძლევს არჩევითობის საშუალებას, თუმცა ერთიდაიგივე შინაარსის სასწავლო კურსით შეუძლებელია აირჩიოს სტუდენტმა, შესაძლებელია არჩევითი იყოს ვინც მუშაობს იმან არ გაიაროს ან რაიმე სხვა მეთოდით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წინა დასკვნაც დაწვრილებით წაიკითხა და აღნიშნულ რეკომენდაციაზე მსგავსი ჩანაწერი ვერ აღმოაჩინა) დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული პრაქტიკა 2 სასწავლო კურსის შესახებ სახელწოდებითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, ერთი არის „საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში“ და უზრუნველყოფს არასაბანკო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას, ხოლო მეორე, რომელსაც ქვია „პროფესიული პრაქტიკა“, მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და მონიტორინგი ეს არის სპეციალური პრაქტიკის კურსი, რომელიც შექმნილია საბანკო დაწესებულებებისათვის, ამიტომ ამ ორი პრაქტიკის ერთ სასწავლო კურსში გაერთიანება არ იქნება სწორი. საბანკო ასოციაციასთან არსებულ სწავლების ცენტრთან ერთად მოხდა „პროფესიული პრაქტიკის“ სასწავლო კურსის

ფორმირება, პრაქტიკას ბოლო პერიოდში სს „საქართველოს ბანკშიც“ გადიან, საიდანაც აქვთ რეკომენდაცია, რომ რაღაც ცვლილებები შეიტანონ სილაბუსში, რადგან კონკრეტული ბანკი ითხოვს, რომ ქუდი იგივე დარჩეს, მაგრამ სილაბუსი გაკეთდეს მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები, მონიტორინგი და ა.შ. საქართველოს ბანკში, დაწესებულება აწარმოებს მოლაპარაკებას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აწარმოებს მოლაპარაკებას, რომ რაღაც თავისი მოდიფიცირებით წარმოადგინონ სილაბუსი და შესაძლებელია ასეთი პრაქტიკის სილაბუსიც დაემატოს, რომელიც იქნება მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები, მონიტორინგი და ა.შ. კონკრეტულ კომპანიაში, ანუ საწყისი სილაბუსი მიუღებელია პროგრამის განმახორციელებელი კომპანიის მიერ, დაწესებულებას შეუძლია მოარგონ კომპანიის სპეციფიკას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტთა საიდუმლოებების თემა, სწორედ ამ ნაწილში სურს ორგანიზაციას კორექტივების შეტანა, გარდა ამისა ყველა კომპანიას აქვს თავისი სპეციფიკა, შესაძლებელია ამ პრაქტიკის სილაბუსებმა იმრავლოს, სტუდენტი ირჩევს იმის მიხედვით თუ რომელ ბანკში ან სად უნდა გავლა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განცხადა, რომ დაწესებულება ლოგიკაში მიყვება ექსპერტს, პრაქტიკა არ იქნება განსაზღვრული მხოლოდ ერთ კომპანიაზე, ნებისმიერ შემთხვევაში სწავლის შედეგი იქნება ისეთი, უნივერსალური, რომ შრომის ბაზარზე თავსებადი იყოს. მან მიმართა, საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს და განაცხადა, რომ მათი პოზიციის თანახმად თუ სასწავლო კურსი არჩევითად, რომელიც გაივლის პროგრამასთან ახლოს, ის აუცილებლად უნდა იყოს არჩევითში, თუმცა თუ სხვადასხვა დანიშნულება ექნება არჩევითს და სხვადასხვა სფეროს შეეხება ან ერთ სწავლის შედეგთან, ან მეორეზე, ან მესამეზე ექნება ზემოქმედება, თუმცა პრობლემის აცილება შესაძლებელია გადაწყვიტონ და მხოლოდ სასწავლო კურსები შეიტანონ, ან დამატებით დანართი გაკეთდეს სადაც ასახული იქნება არჩევითი სასწავლო კურსების გავლენა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პირველ რიგში იხელმძღვანელა, როგორც წესი აკრედიტაციის სახელმძღვანელოთ, თუმცა წერია, ლოგიკური და სწორია, რომ სწავლის შედეგი ნებისმიერ საფეხურზე ვითარდება სამ დონეზე. რაც შეეხება რეკომენდაციების დამატებით შემუშავებას, ექსპერტს დამატებითი გარემოებების შემთხვევაში შეიმუშავოს რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:48
დასრულების დრო: 15:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის გადავადების საკითხი, 60 დღის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმის რუკის კორექტირება, რადგანაც წარმოდგენილი რუკის მიხედვით ბუნდოვანია სად ხდება პროგრამის 1, 9 და 10

შედეგების გაცნობა და პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში როგორ იღებს მონაწილეობას პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები;

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა“ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის მორგება კურსის მიზანთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
- რეკომენდებულია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს ,,პროფესიული პრაქტიკის“ და ,,საწარმოო პრაქტიკის“ კურსების შინაარსის მორგება პროგრამის მიზნებთან მიმართებით;

რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზნის უფრო ნათელი ფორმულირება,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“ კონტექსტთან მიმართებით.
- სასურველია დაწესებულებამ პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგინოს ,,ცოდნა გაცნობიერების“, ,,უნარების“ და ,,პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს მოცემული სწავლის შედეგების მეტ კონკრეტიზაციას და მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდას;
- სასურველია კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სავალდებულო კრედიტების საერთო რაოდენობასთან მიმართებით;
- სასურველია მარკეტინგის სასწავლო კურსის გაძლიერება სწავლების საფეხურის გათვალიწინებით;
- სასურველია მენეჯერული ეკონომიკის, ფინანსური ინჟინერინგის, სტრატეგიული მენეჯმენტის, მენეჯერული აღრიცხვა და გადაწყვეტილებების მიღების სასწავლო კურსები სავალდებულო კურსების სტატუსით დაემატება პროგრამის სტრუქტურას;
- სასურველია ,,ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი“-ს სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე მის წინაპირობად განისაზღვროს ,,კორპორაციული ფინანსები“-ს სასწავლო კურსი და შესაბამისად მოხდეს პროგრამის სასწავლო გეგმაში მათი სემესტრების კორექტირება. ასევე, სასწავლო კურსის ,,საბანკო ბიზნეს პროცესების მოდელირება და მართვა“ შინაარსიდან გამომდინარე მის წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ,,ბიზნეს პროცესების ინჟინერინგი და მენეჯმენტი“-ს სასწავლო კურსი;
- სასურველია დაწესებულებამ დროულად მოიყვანოს პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;
- სასურველია დაწესებულებამ პროგრამის სასწავლო კურსებში აქტიურად გამოიყენოს მეტი რაოდენობით თანამედროვე ინგლისურენოვანი პროფილური ლიტერატურა, რომლებიც უფრო ფართოდ აღწერს სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს;
- სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,პროფესიული ტექსტის რეფერირება“ სახელწოდება კურსის შინაარსის გათვალიწინებით ჩამოყალიბდეს როგორც ,,აკადემიური წერა“;
- მიზანშეწონილია ,,მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციაში“ დაკონკრეტდეს თუ როგორ უნდა მოხდეს ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ლიტერატურის მითითება (სასურველია გამოყენებული იქნეს APA სტილი).
- სასურველია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“ გამოყენებულ შეფასების სისტემაში ჩაერთოს კვლევითი პროექტის შესრულება და ამ კომპონენტით შეფასდეს კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე დასკვნით ეტაპზე;
- სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები კიდევ უფრო მეტად იყოს დივერსიფიცირებული კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა“ 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 25 ივნისის №632907 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ, განაცხადა, რომ 6 თვის წინ ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის მიზნით შესწავლა პროგრამის მდგომარეობა და გააკეთეს დასკვნა, რომლის მიხედვითაც პროგრამის ყველა სტანდარტი შეესაბამებოდა მოთხოვნებს, მაგრამ სტანდარტებში კომპონენტები შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, გაცემული იყო 6 რეკომენდაცია და 5 რჩევა, რომლებიც შეასრულა პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა, შესაბამისად ექსპერტს მიაწოდეს ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ, ანგარიშს თანდართული ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც შედგებოდა სილაბუსებისგან, პროგრამისა და კითხვარებისგან,
15:07 საათზე საბჭო დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა რეკომენდაციები და ზოგიერთი რჩევაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

15:12 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანზორ ბერიძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 18 იანვრის № 855318 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4400, ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 11. მე-20 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, განაცხადა, რომ განიხილავდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნას, პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2020 წლის 22 დეკემბერს, აკრედიტაციის პროცესში აკრედიტაციის პროცესში გაიცა რეკომენდაციები, რომელთა შესასრულებლადაც ჰქონდათ ერთი წელი. რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების გარკვეულწილად დახვეწას/მორგებას არსებულ რეალობასთან, მათ შორის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების, გამოცდის განკუთვნილი დორის მოდერნიზაციას, ასევე, პროგრამაში კონკრეტულ ერთ პერსონალზე განპირობებული საკითხების/საგნების რაოდენობის ოპტიმიზაციას, გარდა ამისა საბჭოს მიერ იქნა დამატებული რამდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრისა და ლიტერატურის განახლების შესახებ. მისი თქმით დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური ანგარიში, სადაც თითოეული ამ მიმართულებით განხორციელებულია გარკვეული ღონისძიებები და მაქსიმალურად არის არსებული რესურსები გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე მის მიერ შეფასებული/წარმოდგენილი საფუძველზე, დასკვნა ცალსახად დადებითია, რაც გულისხმობს იმას, რომ რეკომენდაციების შესრულების კუთხით დაწესებულებას ბევრი სამუშაო აქვს გაწეული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.
„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლალი ხარბედიამ, მადლობა გადაუხადა ცენტრს, რადგან აძლევს საშუალებას, რომ მაქსიმალურად იყოს ჩართული იმ პროცესში/პროექტებში, რომელსაც ახორციელებს, ასევე, მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, რადგან დაწესებულებას მისი ტრენინგიც კი ჰქონდათ გავლილი შეფასება. მისი განცხადებით, ძალიან დიდი მიღწევა იყო „მენეჯმენტის“ დარგობრივი მახასიათებლის მიღება, რაც ძალიან დიდი დახმარებას გაუწევს დაწესებულებებს პროგრამის განვითარებისთვის. მან ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტს, რადგან მისგან მუდმივად გრძნობდა მხარდაჭერას/გამხნევებას, მუდმივად ახსენებდა, რომ მათი მიზანი არ იყო შეფერხების მოძებნა, არამედ იყო პროგრამის განვითარება, შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა როგორც რეკომენდაციები ისე რჩევებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:23

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

14:25 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 07 ივნისის №531518 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ასტრონომიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველისქ.122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, გიორგი დალაქიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იყო გიორგი რამიშვილის, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ესწრებოდა სხდომას. მისი თქმით, შესრულებულია რჩევები/რეკომენდაციები, თუმცა სურდა გამოეყო რამდენიმე საკითხი, რეკომენდაცია 4.3 და რჩევა 4.6 ეხებოდა საათების გაზრდას და ლიტერატურის განახლებას, რაც შეფასდა როგორც მეტწილად შესრულებული, რადგან კურსებში „გალაქტიკების ფიზიკა“ და „გარე გალაქტიკების ასტრონომია“ ჯამში წერია, რომ არის 30 საათი სემესტრის განმავლობაში, ანუ კვირაში ორი საათი, მაგრამ მითითებულია, რომ არის კვირაში ერთი საათი, რაც უზუსტობა უფროა, ვიდრე დარღვევა და შესაბამისად უნდა გადაიხედოს პროგრამა ამ მხრივ, დამატებულია ახალი ლიტერატურა, თუმცა კურსების დიდ ნაწილში არის 2010 წლისა და უფრო ადრინდელი ლიტერატურა წარმოდგენილი, რაც შეიძლება არ იყოს დამაზიანებელი, რადგან ზოგიერთ კურსში შესაძლებელია არსებობდეს კლასიკური ლიტერატურა და მიესადაგება კურსს, მაგრამ შესაძლებელია ამ დროს გამოყენებულ იქნას სტატიები. გაცემული იყო რჩევა საკონსულტაციო საათების ვებ გვერდზე ატვირთვის შესახებ, სადაც მითითებული იყო ვებ გვერდი და სასურველია მითითებული ყოფილიყო უშუალოდ ის ბმული, სადაც იძებნება აღნიშნული საკონტაქტო საათები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები კამათობენ და არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგენენ მოსაზრებებს, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი არის ვიზიტზე, ან არგუმენტირებული პოზიცია უნდა წარმოადგინონ საბჭოს წინაშე, მაგრამ დაწესებულების დამოკიდებულება ცალსახაა, როდესაც საბჭო დაადგენს უკვე შესასრულებელ რეკომენდაციებს დაწესებულებისთვის არის სამოქმედო გეგმა და ეს დამოკიდებულება ეხება ანგარიშს, როგორც ამ ასევე შემდეგ პროგრამას, დაწესებულება საბჭოს მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას უყურებს, როგორც აუცილებლად შესასრულებელს და

კითხვის ნიშანი არ უნდა გაჩენილიყო ექსპერტის მხრიდან, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება უნდა გაგრძელდეს არამარტო ამ ეტაპამდე, ლიტერატურა მუდმივად ახლდება, პროგრამის რეაკრედიტაციამდეც და ყოველ წელს.
„ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რევაზ ჭიღლაძემ, ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს იყო კლასიკური ლიტერატურა, რომელიც დროს არ ემორჩილება და დიდიხნის განმავლობაში შესაძლებელია ემსახურებოდეს სასწავლო პროცესს, მაგრამ რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ ძირითადი-სავალდებულო საგნები, რომლებსაც ასწავლიან, გაზრდილიყო 1 საათით, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევითი საგნების ან სხვა საგნებისთვის ყოფილიყო ანალოგიური, სწორედ ამან გამოიწვია ის, რაზეც საუბრობდა ექსპერტი.
ექსპერტმა დასძინა, რომ საუბარი იყო მხოლოდ არითმეტიკულ უზუსტობაზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დანარჩენი რეკომენდაციები გულდასმით შეასრულეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 13 ივლისის №706152
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა# 73 ,თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ, განაცხადა, რომ წარმოადგენდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, შედეგებს, რომელიც მის მიერ იქნა ჩამოყალიბებული დასკვნის სახით, დაწესებულებამ მაქსიმალურად გაიზიარა, არა მხოლოდ რეკომენდაციები, არამედ რჩევებიც, აკრედიტაცია გაცემულია 7 წლის ვადით, თუმცა ექვსი თვის თავზე წარმოსადგენი იყო ანგარიში, შესაბამისად დაწესებულება მაქსიმალურად შეეცადა

მცირე დროში ყველა რეკომენდაცია/რჩევაა გაეთვალისწინებინა, მას თითოეული რეკომენდაციის პასუხად აღნიშნული აქვს, რომ ნამდვილად შესრულებულია, შესაბამისად წარმოდგენილია კონკრეტული მტკიცებულებებიც, არის მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომლებიც ნაწილობრივ შესრულებულად მონიშნა, რადგან დოკუმენტაციით ვერ მოხდა იდენტიფიცირება, სწავლის მეთოდების შესახებ რეკომენდაციას (გაუმჯობესდეს კლინიკურ გარემოში სწავლის, სწავლების მეთოდები), რომელთან დაკავშირებით ძირითადი პრობლემა არის პანდემია, ფურცელზე დოკუმენტურად იდეალურად არის გაწერილი/ჩამოყალიბებული თუმცა მისი შესრულების შემოწმება ვერ მოხდებოდა ექსპერტის მიერ, რადგან აღნიშნული ფორმატი არ ითვალისწინებს დაწესებულებაში ვიზიტს, დოკუმენტაციის გათვალისწინებით კი შესაძლებელია მსჯელობა შესრულების საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ ასეთი შეფასება ექსპერტის მხრიდან მოტივაციაა დაწესებულებისთვის, რომ გაყვნენ მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს და ეტაპობრივად შეასრულონ დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. მეხუთე რეკომენდაციის შესახებ მან განმარტა, რომ მეშვიდე სემესტრიდან მოყოლებული სწავლების კლინიკური ეტაპი და სწავლება ძირითადად მიმდინარეობს კლინიკური როტაციების მეშვეობით, ყველა კლინიკურ საგანში გამოიყენება რელევანტური მეთოდები, როგორებიცაა ლექცია/სემინარი პაციენტის საწოლთან სწავლება, კლინიკური შემთხვევის განხილვა, პაციენტისა და ექიმის როლური თამაში, ტრენინგი სიმულატორებსა და მულაჟებზე, გამომდინარე პანდემიიდან, რომ აღნიშნული პროცესი არ შეეფერხებინათ გადაწყვიტეს, რომ კლინიკური უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, კლინიკური სწავლების ნაწილი ჩაეტარებინათ უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში, რომელიც ნახა ყველა ექსპერტმა, აღჭურვილია ისეთი სიმულატორებით, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას და იძლევიან დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების ჩატარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ რთულ პერიოდში, რადგან კლინიკაში მიღებული ცოდნის გარდა, აქვთ სტუდენტებს საშუალება განივითარონ ესა თუ ის უნარი, გარდა ამისა არსებობს რიგი პროცედურები, რომელთა ჩატარებაც აკრძალულია კლინიკაში პაციენტზე, შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, ხოლო კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და შესაბამისი აღჭურვილობა ამ პრობლემასაც კი ხსნის და ამ ეტაპზე აღნიშნულ გარემოში სწავლება დამაკმაყოფილებელია და არ საჭიროებს რაიმე ცვლილებას. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში ვარჯიში მიმდინარეობს შესაბამის პროცედურებზე, როგორც შინაგან მედიცინაში, პედიატრიაში, მეანობა გინეკოლოგიაში აქვთ ძალიან კარგი მულაჟები. მას შემდეგ, რაც წარმოადგინეს ანგარიში მათთან მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე, მიმართეს სტუდენტებმა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს კლინიკური უნარების გაძლიერების მიზნით პრაქტიკა გაევლოთ მრავალპროფილურ საავადმყოფოებსა და სხვადასხვა განყოფილებებში, დაწესებულება სტუდენტებს დაეხმარა ამ პროცესის ორგანიზებაში, კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, სადაც 31 მოქმედი კლინიკა აქვთ, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას, შეათანხმეს ისე, რომ მათი სტუდენტები სასწავლო პროცესისაგან თავისუფალ დროს კვირაში ერთხელ 24 საათიანი მორიგეობის რეჟიმში გაივლიან პრაქტიკას, რაც მათ დაეხმარება პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და ჩაითვლება როგორც ექსტრა კურიკულარული აქტივობა, ამის შესახებ მან გარა კონსულტაციები ცენტრში თუ რამდენად იყო ამის გაკეთება შესაძლებელი, ასევე კონსულტაცია გაიარეს პროგრამაში ჩართულ ექსპერტებთანაც და მიიღეს თანხმობა, 29 დეკემბერს ცენტრსაც შეატყობინეს, რომ ასეთი ექსტრა კურიკულარული აქტივობის შესაძლებლობას აძლევენ სტუდენტებს, მეშვიდე სემესტრის სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკა გაიარონ თერაპიულ განყოფილებაში, მერვე სემესტრის სტუდენტები თერაპიულ განყოფილებასა და პედიატრიაში, მეათე სემესტრიდან ემერჯენსსა და ქირურგიულ განყოფილებაში, მეთორმეტე სემესტრის სტუდენტებს კი თერაპიულ და სამეანო

განყოფილებაში. მიმდინარე სემესტრში „მედიცინის“ ფაკულტეტზე შექმნეს ტელე მედიცინის ცენტრი, რომელიც COVID-19-ის პირობებში სტუდენტზე დაკვირვების, მხარდაჭერისა და მისი კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების საუკეთესო საშუალება გამოდგა, რაც ეფუძნება კომპიუტერული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის დისტანციურ რეჟიმში გაცვლას. ამ საშუალებების გამოყენებით პროფესორ ირაკლი ფიფიას მიერ განხორციელდა ქირურგიული ოპერაციის ტრანსლაცია ონლაინ რეჟიმში, რომლის მსვლელობასაც უყურებდა ყველა სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ სასწავლო კურსს გადიოდა, გარდა ამის, ექსპერტთა რეკომენდაციაზე დაყრდნობით შექმნეს პორტფოლიოს გზამკვლევი, რომელიც ყველა სტუდენტისთვის არის ხელმისაწვდომი, საპილოტე რეჟიმში შეფასდა პროფესიონალიზმი, ჩატარდა მინი კლინიკური გამოცდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ მას უხარია, როდესაც პროგრესს განიცდის პროგრამა და ვითარდება. კლინიკურ გარემოში სწავლის შესახებ, მან განმარტა, რომ ექსპერტი მედიცინის დარგობრივი საბჭოს წევრია და როგორც მისთვის ცნობილია ახალი დარგობრივით იქნება განსაზღვრული კლინიკურ გარემოში სწავლების მეთოდოლოგია, ამიტომ არ შეიძლება გაწერილიყო, როგორც რეკომენდაცია, რადგან ჯერ არ არის ძალაში შესული ახალი დარგობრივი სტანდარტი, ეს იყო არჩევითი, შეეძლო შეეტანა, შეეძლო არა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ მან გადახედა ალერგოლოგიასა და ნევროლოგიას, რაც არასწორად იყო გაკეთებული, რადგან „mini-cex“ და ყველა კლინიკურ გარემოში ჩასატარებელი შეფასებები/სწავლება არ გულისხმობს, არც სტანდარტიზებულ პაციენტს, არც სიმულაციის ცენტრს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს კლინიკაში და აქვს ძალიან სტრუქტურირებული შემოწმების „check-list“-ები, ამიტომ ის, რომ პანდემიის გამო გადაწყვიტეს, რომ სტანდარტიზებული პაციენტები ყოფილიყო, ეს მეთოდი იყო, მან სთხოვა დაწესებულებას გაეთვალისწინებინათ მომავალში, როდესაც შევიდოდა ახალი დარგობრივი ძალაში, სტუდენტები ასრულებენ „OSCE“-ს რეზიდენტურის გავლის დროს პაციენტთან კურსდამთავრებულთა თითქმის 70% იყო უსუსური, და არ შეეძლო დამოუკიდებლად რამის გაკეთება, თუმცა, თუ ისევ პაციენტს შეცვლიან სიმულირებულით ისევ იქ მიდიან.

ექსპერტმა დასძინა, რომ საუბარია პაციენტზე, რომელსაც ნამდვილად აქვს ეს დაავადება.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია, თუმცა ყველა გაიდნალინში საუბარია რეალურ პაციენტებზე, რეალურ გარემოში და არა აძლევენ სცენარს და იმას იმეორებს, ის არ წევს პალატაში, არ არის რეალური პაციენტი, „work place assessment“ არ გულისხმობს ამას, გათვლილია იმაზე, რომ უფროსკურსელები მიეჩვიონ გარემოს და ნახონ რეალური მუშაობა კლინიკაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყველაფერს გააკეთებს, რადგან როცა ძალაში შევა აღნიშნული დოკუმენტი, ყველაფერი ისე გააკეთონ, როგორც საჭიროა, ამასთანავე მათ პანდემიის დასრულების იმედი აქვთ, რომ ყველაფერი ისე გააკეთონ, როგორც დარგობრივი დოკუმენტი ითვალისწინებს. მოდული „ნერვული სისტემების დაავადებები“ - სოფო კასრაძემ განახორციელა მინი კლინიკური გამოცდა, კლინიკაში მოხდა რეალურ პაციენტებთან, „ალერგოლოგია“ შეფასდა ონლაინ, რეალური შემთხვევის განხილვით, მონაცემები შეგროვდა კლინიკურ და პარაკლინიკური პარამეტრების წარდგენა მოხდა პრეზენტაციის სახით, საპილოტე მინი კლინიკური გამოცდა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დასძინა, რომ რეალურად, არც მოეთხოვებოდათ, უბრალოდ მომავალში ამას ვეღარ განახორციელებენ, ეს არის საერთაშორისოდ გაწერილი როგორ უნდა მოხდეს, ამიტომ არავის ექნება საშუალება შეცვალოს, თუმცა ვინაიდან არ არის ჯერ ძალაში არც ითვლება რეკომენდაციად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საპილოტე გამოცდა ჩატარდა, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები სტუდენტებისა და პროფესორების გამოკითხვით მიხვდნენ, რომ სოფო კასრაძემ მოახერხა, რადგან მისია კლინიკა,

მაგრამ ალერგოლოგიის ლექტორმა ვერ მოახერხა. გამოკითხვამ მკაფიოდ აჩვენა, რომ ასეთი გამოცდის ჩატარება ძალიან რთულია, ფაქტობრივად უშედეგოა ონლაინ რეჟიმში და ასეთი გამოცდები ყოველთვის უნდა ჩატარდეს ადგილზე, პაციენტებთან და ვერანაირი სტანდარტიზებული/სიმუალციური პაციენტი ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:54
დასრულების დრო: 16:02

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 22 იანვრის № 21890
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 - ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის ქ.No35, კორპუსი2,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ანზორ ბერიძემ და გაიოზ ფარცხალაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები ძირითადად გაცემული იყო მეორე სტანდარტთან დაკავშირებით და მხოლოდ ერთი რეკომენდაცია იყო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, აკრედიტაციის პროცესში დაწესებულებამ გაიზიარა ყველა რეკომენდაცია, თუმცა ჰქონდათ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება ექვსი თვის თავზე, რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია, იყო გარკვეული უზუსტობები, რადგან შეფასების კრიტერიუმში შეტანილია, მაგ., „აკადემიურობა“ და „აკადემიურობის დონე“, რაც ჩასაშლელი ან ასახსნელია. არის ძირითადად ახალი ლიტერატურა, მაგრამ ერთ სილაბუსში ჩარჩენილია იგივე ავტორის ძველი გამოცემა, არსებობს უფრო ახალი ვერსია, ჰქონდათ რეკომენდაცია მეტი აფილირებული პროფესორი ყავდეთ ფარმაციის მიმართულებით, რომელიც დაწესებულებამ თავის დროზეც გაიზიარა და ანგარიშში გაწერილი ჰქონდათ, რომ დაგეგმილი აქვთ კონკურსი, იმ პერიოდში არ იყო გამოცხადებული და შესაბამისად შესრულებულად ვერ ჩაითვლებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ ღლონტმა, განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციები მიიღო უპირობოდ შესასრულებლად, შესაბამისად მიმართეს ძალისხმევა რეკომენდაციების შესასრულებლად, საბოლოოდ შეასრულეს, რაც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ, პირველი და მეორე რეკომენდაციების შესახებ განაცხადა, რომ გაზიარებულია და შესრულებულია, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, ძველი ლიტერატურა და „აკადემიურობაც“ ზოგადია და აუცილებლად დააკონკრეტებენ. კონკურსის შესახებ განმარტა, რომ პანდემიური გარემოდან გამომდინარე ეს ნაწილიც გაზიარებულია დაგეგმილია კონკურსის გამოცხადება და საუნივერსიტეტო აკადემიურ განრიგში ჩასმულია ამ მიმართულებითაც აქტივობის განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია, დაინტერესდა იგულისხმებოდა თუ არა „აკადემიურობაში“ პროფესიონალიზმი.
„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ, განაცხადა, რომ ბევრი იმსჯელეს აღნიშნულ ტერმინზე.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განმარტა, რომ საქართველოში ფარმაცია არ არის რეგულირებული და ამიტომ დარგობრივი დოკუმენტი არ აქვთ, რაც შეიძლება ყოფილიყო მიზეზი.
„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ეს იყო რეალურად პროფესიონალიზმი და ამავე ფაქტობრივი ცოდნის წარმოდგენის აკადემიური უნარი, თუმცა შემდგომში შესაძლებელია ტერმინის მეტად დაკონკრეტება.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, მარინა ქორიძემ, განაცხადა, რომ ტერმინი გამოყენებული აქვს მხოლოდ ორი სილაბუსის ავტორს და მათთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია მეტად დაკონკრეტდეს ტერმინი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:11
დასრულების დრო: 16:14

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

8. მერვე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 26 იანვრის №30726 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს 0160, ქ. თბილისი, მ.ალექსიძის ქ. №10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ, განაცხადა, რომ საბჭოს მიერ გაცემული იყო 6 რეკომენდაცია, სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, მეექვსე რეკომენდაციასთან (შემუშავდეს აკადემიური პერსონალის წახალისების პოლიტიკა საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის) დაკავშირებით ახალი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა, მხოლოდ წესი და შინაგანაწესი იყო გადაგზავნილი, შეფასებაში ასახული იყო, რომ დაწესებულებას აქვს ბონუს, სისტემა თუ გამოაქვეყნებს ან კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ პრობლემა არის რომ მიიღოს მონაწილეობა, მისი მოსაზრებით სადმე რომ წავიდეს ადამიანი ყველაზე მცირე მივლინების ხარჯების დაფინანსება სჭირდება და მსგავსი რეგულაცია/დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ახალისებს ამ ყველაფერს და ხელს უწყობს, თუმცა ეს არის რეგულაცია, რომელშიც ექსპერტმა ეჭვი შეიტანა, რადგან რეგულაცია შესაძლებელია რეგულაციად დარჩეს, თუმცა თვითონ აფილირების ხელშეკრულებაში უფლება-მოვალეობაში 2.4.6 პუნქტში, ასევე უნივერსიტეტის ვალდებულებებში 2.5.6 პუნქტია პირდაპირ წერია, უნივერსიტეტის ვალდებულებაა დაფინანსოს სამეცნიერო აქტივობა. როგორც ცნობილია, ნებისმიერი სახელშეკრულებო დებულება/ვალდებულება რეგულაციაზე მეტია, საბჭოს წარდგენილი აქვს აფილირების ხელშეკრულება, 2.5.5 პუნქტი ზოგადია და გაწერილია, რომ ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით აქტივობას და 2.5.6 სადაც გაწერილია, რომ აფილირებული პირის მიმართვისა და დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე დაუფინანსოს აფილირებულ პირს სამეცნიერო აქტივობები და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები, შესაბამისად მიმართვის საფუძველზე ამ პუნქტში შედის მივლინებების დაფინანსებაც, ეს რაც შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულებას, რასაც უნივერსიტეტი კისრულობს. მას ასევე სურდა ესაუბრა უნივერსიტეტის მხრიდან გაცვლით პროექტებზე, რომლებშიც მონაწილეობას იღებს აკადემიური პერსონალი და დაწესებულებიდან მხოლოდ 2021 წელს წასულია 6 ადამიანი, მათ შორის ორი არის ნიკოლოზ მაღლაფერიძე და ბესიკ ტაბატაძე, ამ პროგრამიდან ოქტომბერში, მთელი სემესტრის განმავლობაში, თუმცა ბესიკ ტაბატაძეს პრობლემა შეექმნა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და უკან დააბრუნეს პროცესში, ნიკოლოზ მაღლაფერიძე კი უკვე დაბრუნდა. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბესიკ ტაბატაძე მომავალ სემესტრში წავა. თუ პირი მიმართავს დაწესებულებას მისი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომ დააფინანსოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეკომენდაციაში ჩანაწერი არის, რომ საუბარია წახალისების პოლიტიკაზე, რაზეც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ეს არის ვალდებულება ინსტიტუციის მხრიდან, უზრუნველყოს სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა, საჭიროება და ა.შ., პოლიტიკის დოკუმენტი კი არის სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ის მიმართულებები, რომლების ჭრილშიც უნივერსიტეტი განავითარებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პოლიტიკაზე არ გაამახვილებდა ყურადღებას, თუმცა სურვილის შემთხვევაში შეეძლო ესაუბრა, მაგრამ როდესაც საუბარია სამართლებრივ ვალდებულებაზე სწორედ ეს არის პოლიტიკის ნაწილი და სამართლებრივად უფრო მტკიცე მექანიზმია, როგროც ექსპერტმა აღნიშნა, საკმაოდ დიდი დოკუმენტია, სადაც გაწერილია ვალდებულებები, ასევე გაწერილია შეფასების მექანიზმი, რომელიც მიდის ბონუს სისტემასთან, მანამდე კი არის თვითშეფასების

ცხრილი, სამეცნიერო აქტივობა, ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო გრანტები და სხვა ქულობრივი სისტემით არის გათვლილი და თავისთავად არის ბონუს სისტემა, მაგრამ ეს არ შეეხება მივლინების დაფინანსებას, რომელიც ხდება მიმართვის საფუძველზე, რადგან თუ არ მიმართა და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, ვერ დააფინანსებენ.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა მექანიზმზე, იურიდიული ჩანაწერი გასაგებია, უფლებამოსილი არის, მექანიზმიც არის, აღნიშნული პროგრამიდან მიმართვიანობა არ ყოფილა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტში არის ჩანაწერი, რომ ნებისმიერი სამეცნიერო აქტივობა იქნება დაფინანსებული.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ მექანიზმის არსებობა ძალიან კარგია, რაც ნიშნავს, რომ მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ პროფესორებს, დაინტერესდა თუ აქვს დაწესებულებას მოთხოვნის სტატისტიკა, გარდა იმისა, რომ პროფესორმა მოითხოვოს წავლა კიდევ რა შეიძლება მოითხოვოს, მაგ., მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნება, თუ მოუთხოვია ვინმეს. ნახსენები ორი პროფესორი წავიდა ერასმუსის პროექტით თუ უნივერსიტეტის წახალისებით.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საუბარი იყო გაცვლით პროგრამებზე, ერთი ერასმუსია მეორე სხვა პროექტია, რაც შეეხება მივლინებებს, მივლინების მოთხოვნის შემთხვევაში არის მექანიზმი, რაც ფინანსდება, ყოფილა ნაწილობრივი დაფინანსების მოთხოვნაც, ყოფილა სრული დაფინანსების, ტრენინგზე წასვლის, მონოგრაფიის დაწერის, ცოტახნის წინ უშუალოდ აღნიშნულ მონოგრაფიის დაწერა დაფინანსდა,
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განმარტა, რომ სავარაუდოდ არსებობს ბიუჯეტი და აქედან ფინანსდება, დაინტერესდა თუ რა თანხაა ჩადებული და რა გაიხარჯა სამეცნიერო აქტივობებისთვის.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საერთოდ, ფაკულტეტიდან 10% განისაზღვრება სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე. ასევე, არის სარეზერვო ფონდიც, ვინაიდან დაწესებულება არ არის სსიპ-ი ამიტომ არ ხდება მისი ბიუჯეტის მკაცრი კონტროლირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

9. მეცხრე საკითხი: სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს-ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 11 ნოემბრის №1138282 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ნანი არაბულმა, განაცხადა, რომ წარმოადგენდა სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის დასკვნას, პროგრამაზე 2020 წელს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი, საბჭომ მიანიჭა 7 წლიანი ავტორიზაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით, გაიცა 8 რეკომენდაცია, წარმოდგენილი ახალი დოკუმენტაციის მიხედვით გაირკვა, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებულია, უბრალოდ 2.1 კომპონენტში სადაც საუბარია დაშვების წინაპირობებზე, დაფიქსირდა რეკომენდაციის ნაწილობრივ შეფასება, რადგან ჩანაწერში უნდა ყოფილიყო, რომ სტუდენტს უნდა ჩაებარებინა B2 დონის ინგლისური ენა და საჭირო იყო სერტიფიკატიც, რაც გამოცდის შემთხვევაში დაკონკრეტდა, თუმცა სერტიფიკატის შემთხვევაში ისევ უცხო ენა წერია, რაც იწვევს გაურკვევლობას, რადგან სტუდენტს შეუძლია, მაგ., გერმანულიც წარმოადგინოს. მეექვსე რეკომენდაციაში საუბარი იყო სტრატეგიულ მენეჯმენტზე, ამის სპეციალისტი არ არის, თუმცა აკრედიტაციის პროცესში ბიზნესის მხრიდან წარმოდგენილი იყო ექსპერტი, რომელსაც სთხოვა გადაემოწმებინა რეკომენდაციის შესრულება, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ ცალსახაა, როდესაც მიღების წინაპირობად წერია B2 დონის ინგლისური ენა, აუცილებელია, რომ სერტიფიკატი ინგლისურ ენაში მოითხოვონ, შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი და ეს არ ნიშნავს, რომ სტუდენტი დაიშვება უცხო ენის სხვა სერტიფიკატით, ამიტომ აუცილებლად გასწორდება.
„ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლერი ნოზაძემ, სტრატეგიული მენეჯმენტის შესახებ აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ გამარტივებულიყო თემატიკა და სტრატეგიული დონე მკვეთრად გამოხატულიყო და თემები გაშლილიყო უფრო პრაქტიკული დატვირთვით, აღნიშნული შეიცვალა, თემები, გარდა პირველი, მეორე, მეშვიდე თემებისა, განახლდა სალექციო ლიტერატურა და მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ბოლომდე გაზიარებული და ფაქტობრივად შესრულებულია. საბჭოს მიერ გაცემული ყველა რჩევა/რეკომენდაცია გააზრებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის და შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:41
დასრულების დრო: 16:46

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 15 თებერვალს 17:38 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ